პარასკევი, 29 თებერვ. 1908 წ.

ისარი

წელიწადი მეორე—№ 48

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ფიქრს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან. 50 კ., ერთის თვით—90 კაპ. ეაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიგზეგებში

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ფიქრს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგზელვიანო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეულ სტრიქონს 5 საათამდე ფიქრს 3 მან., ზუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაბეჭდება. ... ბეჭდავ მეორე წერილებს და ... რედაქცია დიდხანს არ ინახავს; ... მრავლად დიდი წერილები და ... ლებით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევამდე 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარეშე ფიქრს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

ფასი ნომერი ყველგან 5 კაპ.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ლისბავშის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

მიიღება ხელის მოწერა 1908 წლისათვის.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ისარი

გაზეთი ღირს:

ერთის წლით:	ნახევარი წლით:	ერთი თვით:
ტფილისსა და ტფილის გარეშე . . . 7 მ.	4 მანეთი 50 კაპ.	90 კაპ.
სახლვარ-გარეშე . . . . . 12 მ.	6 მანეთი.	1 მანეთი 50 კაპ.

ფასი ნომერი ყოველგან ერთი შაური.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან. წლით გაზეთის გამოწერა შეიძლება მარტო პირველ იანვრიდან პირველ იანვარამდე.

ფასები ოფიციალური ფასი გაზეთისა:

	1	11	10	9	8	7	6	5	4	3	2	1
ტფ. და ტფილისს	წლით	თვით	თვით	თვით	თვით	თვით	თვით	თვით	თვით	თვით	თვით	თვით
გარეშე	7	6—50	6	5—70	5—30	4—90	4—50	4	3—80	3—60	1—80	90
სახლვარ-გარეშე .	12	11	10	9	8	7	6	5	4—50	3—50	2—50	1—50

ხელის მოწერა შეიძლება:

ტფილისში: 1) «ისრის» რედაქციაში (ლისბავშის ქუჩა, № 1, მილოვის სახლი); 2) «ქ. შ. ფ.-ს. სახლოვანებაზე» მაღაზიაში შიო ქუჩეკაშვილთან (სიაახლის ქ., თავადი-ახნაურობის ქარვასლა); **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან («იმერეთის» წიგ. მაღაზია); **ბაკოურში:** ს. ტარიელაშვილთან (ბიბლიოთეკის ბანკი).

ფოსტით ფული ეგზეთოვად ამ ადრესით უნდა გამოგზავნილნს: Тифлисъ, Кочубеевская ул. № 14. И. С. Агладзе.

ფერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა

აუწყებს ყველას, რომ

კვირას, 2 მარტს, მთაწმინდაზე გადახდილი იქნება 6 თვის

წირვა და პანაშვიდი

ილია ჭავჭავაძის

სულის მოსახსენებლად

წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 11½ საათზე.

(5—3)

ტფილისის საათავად აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკი აცხადებს, რომ კვირას, 2 მარტს, ხსენებული ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ ნამოფიცარ

თავ. ილია გრიგორის ძის ჭავჭავაძის

გარდაცვლების 6 თვის თავზე, მამა-დავითის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება დ-ილის 11 საათზე.

(2—148—1)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა და ქართული დრამატიული დასი ამით აუწყებს ყველას, რომ კვირას, 2 მარტს მთაწმინდაზე გადახ-დილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი

ილია ჭავჭავაძის

სულის მოსახსენებლად. წირვა დილის 10 საათზედ, პანაშვიდი 11½ საათზედ.

2—1)

26 თებერვალს გარდაიცვალა

მაქსიმე როსტომის ძე შარაძე,

რასაც აუწყებენ ნაცნობთა და ნათესავთ **სპირიდონ ლოსაბერიძე, ესტატე ქერესელიძე და იოსეფ ლეონი.**

პანაშვიდები შუადღის პირველ საათზე. დასაკრძალავად გამოსაყენებენ კვირას, 2 მარტს, დილის 10 საათზე, სამების ეკლესიაში ფუნერალის და მოსკოვის ქუჩათა კუთხიდან, № 2/5.

(4—147—2)

ანნა, კატო და ნინა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, მობძანდნენ დაესწრონ ორმოცი დღის პანაშვიდს პირველის—ძვირფას შვილის, მეორეისა—

დაუვიწყარ ძმის

ივანე ალექსანდრეს ძის გვარამაძის

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი გადახდილი იქნება შაბათს, 1 მარტს, ქვაშვეთის ეკლესიაში. წირვა დაიწყება 10 საათზე. პანაშვიდი 1 საათზე.

(1—254—1)

ნიკოლოზ დავითის ძე ჯაბიძე აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორშაბათს, სამს მარტს, პეტრე-პავლეს სასაფლაოს ეკლესიაში გარდახდილი **იქნება წლის** წირვა და პანაშვიდი უფროდ გარდაცვლილებულის მისის მეუღლის

ნატალია მაქსიმეს ასულის ჯაბიძის

სულის მოსახსენებლად

(3—ნ.—1)

ეორეულოვის მეგელის პირდაპირ, ნარიმანოვის სახლში ვაისსა

ბუფეტი

„ახალი პუერ-ღვინო“

ბუფეტში მოიპოვება ყოველგვარი ევროპიული და ქართული საქმელი, მომზადებული მუდამ ახალ სანოვაგისაგან. ჯახური ღვინები, საუკეთესო ხაში და ლიქიორი. სისუფთავე სანაქებო. ფასები ყველასთვის ხელ მისაწვდენია. (25—12)

ძუთაისში

ქირურგიული და დედათა სნეულების

საამკურნალო

ექიმის ივ. ბოკაურიანი

გახსნება ამა წლის 20 თებერვლიდან.

ადრესი: ტფილისის ქუჩა, სახლი კირილოვისა, „იმპერიალი“-ს სასტუმროს გვერდით. (25—56—22)

ადგილობრივნა და რეგიონული საამკურნალო კაბინეთი

მიხეილ ვეფხვინიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყარაღინოვის ქ., ვეფხაზ; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—487—63)

თბილის ექიმი

ზ. ბ. ცხვედაძე

კორპატიკ უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თბილელი ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—6 ს. ვეფხ ოლილას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—25—19)

ბაკილის ექიმი

ალ. ბოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მეფინისა. (64)

ბაკილის ექიმი

ნინო ჩაგანელაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 5—7 საათზე, ვეფხ ოლილას ქუჩა, № 2 (0—303)

ექიმი

ვ. ს. ბუხსელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—11½ ს. ციხისი ქუჩა № 9. (თვ.)

ქუთაისში

ბაკილის ექიმი

ბარაქ ბესაია

იღებს ავადმყოფებს დილის 9—3-მდე და საღამოს 5—7-დი. ტფილისის ქ. ჩიკვაიძის სახლი, ბინა ან. ადგილაანისა. (25—კვ.—24)

ქუთაისში

შინაგან სნეულებათ და ბავშვების

ექიმი ვ. ბ. ბაბუნი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღეს: დილის 11—2 საათამდის და საღამოს 6—8 საათამდ ის ფოსტალიონის მესახლეში, გორგასლის სახლში № 5. (25—125—9)

ექიმი ვ. ლაბაბიძე

ლაბორატორ და იღებს ავადმყოფებს საღამოობით 6—7 საათ. (ვერის ბაღი). ალექსეევსკაია № 5 (ანსტას. ეკუს. კუთხე). (ფ.)

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

კანონ და ვენერიულ აავადმყოფებს

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათამდე, ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9-დე. ვერის ბაღი ავადმყოფებს არ მიიღებს. ყარაღინოვის ქუჩა № 14.

ექიმი

ბ. ნ. ბაბაკიანი

იღებს ავადმყოფებს **შინაგან და ბავშვებისა.** სპეციალური ექიმი **ეუბნ ან ნაწლავებისა,** მიღება: დილით 12—1 საათ., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პროს. № 36, ს.ბ. ბეკეანიძისა. (25—ფ.—1)

ქ. ქუთაისში

ექიმი ი. ი. ჩარიკოვი

განსაკუთრებით იღებს **ვენერიულ, სიფილიტიან და კანით ავადმყოფებს.** 12—2 საათამდის. გეგეჭორის ქუჩა, ანტელაძის შესახვევი, ოთხსართიანის სახლში. (25—ფ.—9)

ქუთაისში

თვალების ექიმი

ი. ბ. ბერეზოვსკი

ეიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 ს. დღისით. ადრეეი ბოსტანტლის ქ., სამხედრო ბოსტანტლის ეზოში, მარცხნივ. (25—კვ.—7)

ექიმი

ვ. ვაფაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოობით 5—7 საათ., **ბარდ კვირა, ფეფინისა,** ციხისნის და ელისაბეთის ქუჩების კუთხეზე, ბაბაევის სახლი, № 92. (ფ.ე—00)

ბუფეტიანი და ტრაქტირი

ვ. ი. ფურადოვი,

ყოველი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტის კლინიკისა, იღებს შარდით, **ვენერიულ (ზიდილ.) და კანის ავადმყოფებს** დილით 9—11 საათ. საღამოთი 5—7 საათზე. ტრუბნეის ქ. № 1, ეკატერინის მეჩოჩელ ოხაზის პირდაპირ. ტელეფონი № 711. (21—ნ.—24)

ყველაზე უნივერსიტეტის სტუდენტი ამლეკ

ფრანგული

ენის გაკვეთილებს

გოგოლის ქ-ზე, № 55. (10—4)

ნინოშალი ბარეშუმის ოფისი

სარძის ხარიფანისა

იყიდება ათ მარტამდის ქუთაისის და მის მაზრასთვის განსაკუთრებით საგაკრო სახლი,

„ი. ბოკანელოვის შვილების“

ქუთაისში

ფასი თითო ფოლოფის ექვსი მისხლიანის 2 მანეთი 10 კაპ. გამოყიდველებისთვის 1 მ. 95 კ.

(7—146—3)

ამხანაგობა

„ბეოგრიას“

მმართველი აცხადებს, რომ ამხანაგობის მიერ არჩეულმა სარეფერენტო კომისიამ განიხილა ამ ამხანაგობის მოკმედების ანგარიში 1907 წლის პირველ ნახევრისა და დადგინა:

1) მოსრულებულ იქნეს მთელი 1907 წლის ანგარიში და დასაბეჭდებელი წარედგინოს კომისიას ამ წლის პირველი მაისისთვის 2) ამხანაგობის წევრთა საზოგადო კრება დაინიშნოს 4 მაისს.

(3—151—1)

ტფილისი, 29 თებერვალი.

19 თებერვალს პრუსიის ლანდტაგმა შეიწყნარა მთავრობის პროექტი პოლონელთა მიწების იძულებით გამოსყიდვის შესახებ. ოოგორც მოკლე სატელეგრაფო ცნობა გადმოგვცემს, პრუსიის ქვედა პალატას კანონ-პროექტი პოლონელთა წინააღმდეგ მიეღია იმ სახითა და რედაქციით, რომელიც ზედა პალატაში მიეცა პროექტს; მიეღია კონსერვატორთა და ნაციონალ ლიბერალთა ხმების უმეტესობით. მაშასადამე ალსრულდა ის, რასაც ლ. ტოლსტოიმ წარმოუდგენელი მარბაროსობა უწოდა თავის წერილში სენკევიჩის მიმართ, რასაც მთელი განათლებული ევროპა ერთსულოვანს გმობით მიგებგება.

წარმოუდგენელი მარბაროსობა! განათლებული სახელმწიფო მეოცე საუკუნეში აკანონებს პირდაპირს ძალმომრეობას; სხვა ტომის ხალხს, იმავე სახელმწიფოში მცხოვრებს, იმავ სახელმწიფოს კანონების მფარველობას ქვეშ მყოფ, ძალით უნდა წაართვან ადგილ-მამული და „გაბატონებულ ერის“ წარმომადგენლებს უნდა ჩაბარონ. ბნელ საუკუნოებში იყო ასე, იმ უძველეს დროში, როცა მხოლოდ ფიზიკური ძალა და მუშტი მეფობდა; შემოსეული ტერი ირთმევდა ნაჯობნ მკვიდრთ ყველაფერს და ყმებად აქცევდა მათ. დღეს ამასვე სჩადის სახელმწიფო, რომელსაც უგანათლებულეს ქვეყნად მოიაქვს თავი მთელ ევროპაში; ფულებრივ სახელმწიფოს უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულებას არაფრად მიჩნია საშუალო საუკუნეთა „ფუსტერტატ“-ის ადგდენი. ამაზედ უფრო მეტად სასაცილოდ აგდება უფლებრივობისა და კანონიერებისა ადარ შეიძლება!.. მერე, ვინ სჩადის ამას? პრუსიის მთავრობა, კონსერვატორი-ოგრარიები და ნაციონალ-ლიბერალები, ე. ი. ბურეუაზიის მთავარი წარმომადგენლები, რომელნიც ყალუზე სდგებიან ყოველთვის, როცა კერძო საკუთრების ხელის შეხლებაზე მივა საქმე. გერმანიის მთელი ბურეუაზიული პრესსა ბრაზით იხსენებდა რუსეთის მოწინავე პარტიების მიერ წამოყენებულ პროექტს მიწების იძულებით გამოსყიდვაზე; თვით პრუსიაში ამ პრინციპზე, რასაკვირველია, კრიტიკას დაძრავ არ შეიძლება: იქაური ოგრარიები და ბურეუაზია მთელის თავის ძლევამოსილებით გამოეკიმაგებიან კერძო საკუთრებას, დაიცავენ მის ხელუხლებლობას, იმის „სიწმიდესა“ და „შეურყეველობას“. მაგრამ, როცა უცხო ტომის კერძო საკუთრებაზე მივა ჯერი, სადღაც მაშინ ხელშეუხლებლობის და სიწმიდის პრინციპი?! „ჩემსას არავის დავანებებ, თუნდაც ბევრი მჭონდეს და ჩემსავე მოძმეს კუკი უხმიბოდეს ზ.ამშილოთ, მაგრამ სხვა ერის კერძო საკუთრებას კანონის ძალითაც დაკარგვევ“,—რით განსხვავდება ეს პრინციპი იმ ველურ ბუშმენის რწმენიდან, რომელსაც ჩვენია, რომ სხვისთვის ბოროტებას მიყენება კარგია, ხოლო მისთვის—ცუდია?!..

პრუსიის გაბატონებული კლასსები თავის ძალმომრეობას „სახელმწიფო ინტერესებით“ ხსნიან და ამართლებენ, რასაკვირველია. ჩვენ უკვე გვქონია ბაასი ამ კითხველებთან იმის შესახებ, თუ რა ჯერისაა ეს „სახელმწიფო ინტერესები“. ეს ერთი საკუთრეა პრუსია გაშმაგებით ებრძვა თავის ქვეშევრდომ პოლონეთს, რომლის გერმანიზაცია, ძალით გადგომნელება დაუსახავს უსაპროეტს მიზნად. ენის, კულტურის და საზოგადოთ ეროვნების დევნისა და შეურაწრების ჩვეულებრივ იარაღებით პოლონელთა გადგომნელებამ ამ მიზერხდა; პირიქით, პოლონელი ერი კაკვიკი გამაგრდა ამ დევნა ბრძოლაში. და აი, პრუსიის გაბატონებულმა კლასსებმა უეცარ ლონისძიებას მიმართეს: პოლონელთა ეკონომიურ კეთილდღეობის დაღლევეს მათის ტერიტორიის დაპყრობის საშუალებთ. ჯერ ამას „მშვიდობიანის გზით“ შეეცადნენ: დაარსეს ბანკი, რომელსაც დაუვალეს პოლონელთა მიწების შესყიდვა და ზედ გერმანელ ახალშენთა დასახლება. მაგრამ პოლონელებმა კოლტრ ბანკები გახსნეს და თუ სადმე პოზნანში მიწა იყიდებოდა, თვითონვე ყიდულობდნენ პოლონელთათვისვე სასარგებლოთ. რა-კი ამ „მშვიდობიან კონკურენციის“ ალმერზედაც დაარცხდა მოაგრამა, პრუსიელ აგრარიებმა და პატრიოტებმა ყოველი კანონიერება გადალახეს და დდეგანდელი ველურ-ავაზაკური კანონპროექტი შეიმუშავეს: პოლონელი კანონით ვალდებულია, უნდა არ უნდა, თავისი მამული მიჰყიდოს გერმანელ სახელ წიფო სამანკო დაწესებულებას, თუ-კი ეს საკრედ დაინახავს ამ მამულზე გერმანელების დასახლებას. წმინდა წყლის საშუალო საუკუნეთა „ფუსტერტატ“-ის ალორძინებაა!..

სიმპათიელ მოითხოვს ალენშნო, რომ მთავრობის პროექტი ეროპოლნთ შეჩვეცეა ზედა პალატამ, მაგრამ ეს სრულებითაც არ აკარწყლებს მის ძალმომრეობით და ველურს ხასიათს და პოლონელ ერს მიინც დიდ განსაცდელს უმზადებს. გადიტანს ამ თავდასხმას მოაგალ-ტანჯული პოლონელი ერი და შეიძლებ

თუ არა იმისგან თავდაცვას, როგორც ეს აქამომდე შესძლო, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს; მაგრამ იმის თქმა დაბეჯითებით შეგვიძლია, რომ პოლონელნი გულხელ დაკრეფილნი არ შეხვდებიან მტერს. ახალი იერიში კიდევ უფრო გაადრმავებს მათ ეროვნულ თვითცნობიერებას და გააძლიერებს მათ ენერგიას. გერმანელებიც იაფად არ დაუჯდებათ ეს იერიში. „რუსსკ. ვედომ."-ის თქმისა არ იყოს,— „ვაი დამარცხებულთ, მაგრამ ვაი გამარჯვებულთაც, რომელთა ძლიერებამ ვერ შესძლო მუშტის მეფობის შეცვლა უფლების გამეფებით დამონავებულ ერის მიმართ: სხვა ერის შევიწროებისთვის არა ერთი ერი დაისაჯა საკუთარ მის თავისუფლების შეზღუდვით. ისტორიამ იცის მრავალი ამგვარი მაგალითი"...

ხმები ომზე

ოფიციალურ უარყოფის მიუხედავად, რუსული გაზეთები „ნოვოე ვრემია", „გოლოს მოსკვი" და სხვანი მისთანანი მაინც განაგრძობენ ცნობების ბეჭდვას ოსმალეთის სამხედრო მზადებაზე და ამტკიცებენ, რომ შესაძლებელია ოსმალეთმა ომი გამოუცხადოს რუსეთსაო.

ოქტომბრისტების გაზ. „გოლოს. მოსკვის"-ში, 24 თებერვლის ნომერში დაბეჭდილია შემდეგი კორესპონდენცია, ყარსიდან მიღებული:

„ეხლა აღარავისათვის არ შეადგენს საიდუმლოებას, რომ ოსმალეთში ჯარის გაძლიერებული მობილიზაციაა: ყველა სათადარიგო ჯარის-კაცს იწვევენ.

ჰასან-კალაში, რომელიც ჩვენი საზღვრის ახლო მდებარეობს, 600-ზე მეტი სათადარიგო ჯარის კაცი იყო შეკრებილი. ამათთვის ტანისამოსის დამზადება საჩქაროდ შეუკვეთეს მკერვლებს და მანუფაქტურის ვაჭრებს.

ერთი მცოდნე ოსმალი ამბობს, რომ აპრილამდე არზრუმის გარშემო ეხლანდელ მობილიზაციის წყალობით 115 ათასი კაცი იდგება თოფ ქვეშ, დანარჩენი ჯარი სპარსეთის საზღვარზე წავაო.

ოსმალები ჰფიქრობენ, რომ ეხლა მარჯვე წამი დადგა რუსეთთან ისტორიულ ანგარიშის გასასწორებლადაო, ამიტომ ფაცა-ფუცით იარაღს ისხამენ და თავიანთ ჯარს საბრძოლად ამზადებენ.

ბევრი აქაური მცხოვრებელი, რომელნიც არზრუმში იყო საქმეებზე, ჰმოწმობს, რომ ბოლოს დროს აზრუმში ბევრი ასწრაფოლ-მსროლელი და კრუპის საალყე ზარბაზანი მიიტანესო. ოსმალები გულახდით ამბობენ, ჩვენ ეხლა ის აღარა ვართ, რაც 1877—1878 წელს ვიყავითო. ეხლა ოსმალეთი საჩქაროდ ამზადებს სურსათსა და ტანთსაცმელს ჯარისათვის. ყველა კერძო წისქვილი ჯარისათვის ხორბალსა ჰფქვავს, ყველა ხარაზისა და მკერვლის ქარხნები ფეხსაცმელსა და ტანისამოსს ჰკერენ.

ხმა დადის, ბაიაზიდს ახლო, ჩვენის სურმალინის მაზრის (ერევნის გუბ.) პირდაპირ ოსმალეთი ამზადებს მეორე კორპუსს, არზრუმის კორპუსის ტოლს. ალეპოდან წამოვიდა ჩრდილოეთისაკენ რაზმი, შემდგარი ქვეითა ჯარისა, კავალერიისა და არტილერიისაგან 25 ათას კაცამდე, და გაზაფხულის დამდეგს არზრუმს უნდა იყოს.

ოსმალები ამბობენ, თუ ვინიცობაა ომი მოხდა, „კბილებს როდი დავამტვრევთ" ყარსის სიმაგრეებზეო,—სხვა უფრო მარჯვე და უშიშარი გზა გვაქვსო: ბაიაზეთიდან ჩინგალის მთაზე ორგოვასა, იღდირისა და ერევნისაკენ; ხოლო არზრუმიდან მიდის ასეთივე მარჯვე და უშიშარი გზა ოლთისისაკენ, სადაც რუსის მოდარაჯე რაზმის გარდა, 250 ვერსის მანძილზე ახალ-ქალაქამდე ერთი ჯარის კაცი არა ჰყავს. აჭარაც კარგი გზაა რუსეთის სამფლობელოში შესასვლელად. ამნაირად ყარსს ყველა მხრიდან გზები მოეჭრება და ალყის შემორტყმით პორტ-არტურს მსგავსად იძულებული იქნება მტერს დანებდეს".

ახალი ამბავი

◆ **გურიის აჯანყების საქმე.** როგორც „სტ. პოსტა" იუწყება იუსტიციმინისტრის განკარგულებით, გურიის აჯანყების საქმე, რომლის გარჩევაც ტფ. სამოსამართლო პალატაში დაიწყეს და აქვე უნდა განეგრძოთ, ოდესაში გადაუტანიათ. საქმე გაირჩევა ოდესის სამოსამართლო პალატაში.

◆ **სიკვდილით დასჯის ნაცვლად.** სამხედრო სასამართლომ ქუთ. გუბერნიის მცხოვრებს კალისტრატ ფარულუას გადაუწყვიტა სიკვდილით დასჯა. ფარულუას ჰბრალდებოდა ბათუმში სასიკვდილოდ დაჭრა თარჯიმანის დლოტოვსკისა. ბათუმის გენ.-გუბერნატორმა ფარულუას სიკვდილით დასჯა უვადო კატორგად შეუცვალა. სიკვდილით დასჯა ჰქონდა გადაწყვეტილი აგრეთვე იკოშვილს. ჰბრალდებოდა გორის მონასტერზე თავდასხმა. ტფ. გენ.-გუბერნატორმა სიკვდილით დასჯა უვადო კატორგად შეუცვალა.

◆ **მკვლელთა გადმოყვანა.** დუშეთიდან მეტეხის ციხეში გადმოიყვანეს პ. ფშაველიშვილი, ფ. ზაზიაშვილი, ბ. ოგანოვი და ივ. მამულაშვილი, რომელთაც ჰბრალდებათ ილია ჭავჭავაძის მოკვლა.

◆ **საავტომობილო მიმოსვლა.** ვ. დ. გვათუას შუამდგომლობა აღუძრავს ნამესტნიკის წინაშე, ნება დართოს მოაწყოს საავტომობილო მიმოსვლა ზუგდიდსა და ახალ-სენაკს შორის.

◆ **შტაბ-როტმისტრის რუნიჩის მოკვლის შესახებ.** როგორც გაზეთი „კავკაზი" გადმოგვცემს, მხნედ შესდგომიან რუნიჩის მკვლელთა აღმოჩენას. გაზეთის სიტყვით მკვლელი შავ ტუჟურკაში ყოფილა გამოწყობილი და მჯდარა რუნიჩის უკან. მკვლელობის წინ ვაგონის საფეხურზე შემხტარა ვიღაც ფაფახიანი. ამ ფაფახიანისთვის მკვლელს უთქვამს, ვორონცოვის ძეგლთან ვნახავთ ერთმანეთსაო. გაზეთის სიტყვით, უცნობნი ქართულად ლაპარაკობდნენ.

◆ **ამიერ-კავკასიაში რუსეთიდან გადმოსახლებულთა რიცხვი.** რუსეთის გაზეთების სიტყვით, 1907 წელს რუსეთიდან ამიერ-კავკასიაში გადმოსახლებულა 8535 სული და იმავე წელს უკან დაბრუნებულა 4521 სული.

◆ **წერილი სპარსეთიდან.** სპარსეთიდან ყოლამ ჰუსეინ ონიკაშვილისაგან წერა-კითხვის საზოგადოების მდივანმა ამ დღეებში წერილი მიიღო. ონიკაშვილი სხვათა შორის იწერება: „დღეს რომ ხუთშაბათი და იანვრის მეექვსე რიცხვია, ამ წერილს ვწერ თქვენთან ფერეიდანსაყე და აქაური ამბავი, ასე რომ ჩონი ქართველები დიდად მოხარულნი არიან საქართველოს პოვნისაყე. ყველა სოფლებიდაყე მოდიან ჩემ სანახველად და საქართველოს ამბის გასაგონებლად. რაღებსაც მკითხავენ, მეც თითონ თავის გულის წადილს ვეზნები და ყველას ნუგეშს ვაძლევ. თუმცა პირველად მოკვლას მიპირებდენ, რადგანაც ემას ჯული გამოუცვლიაო. სპარსეთის ხალხი სუ იმას მეცადინეობს, რომ ცოტა მოისვენონ, რადგანაც ეს ორი წელია ძალიან არეულობა არი ყველა ფარსეთის მიწიზე. ნამეტნარად ჩონ მხარეზე ქურთს ძალი უპოუნია. აღარც მთავრობა არი ფარსეთში და აღარც მეჯლისი; ვინც ვის მერევა, მოჰკლავს ან აიკლებს. ზოგიერთები ჩონი ქართველები წერა კითხვას სწავლობენ, მეც ხან გრამაფონს უკრავ, ხან ქართულ წიგნებს ვკითხულობ. იმედია, საქმე კარგად წავიდეს. ყოველ ჩონ სოფლებიდან მეხვეწებიან, რომ პირველად სკოლა ჩონ გოგვეხსნო, მეც ყველას პირობას ვაძლევყე და ვნახოთ ხვალინდელ რაქნდების".

◆ **სამეურნეო საზოგადოება.** 27 თებერვალს საღამოთი სხდომა ჰქონდა კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომელმაც განიხილა მოხსენება სარევიზიო კომისიისა, ხარჯთ-აღრიცხვა ტფ. საბაღოსნო სასწავლებლისა და დაადგინა, 5 მარტს საღამოთი დანიშნოს საზოგადო კრება სამეურნეო საზოგადოების წევრებისა. კრება განიხილავს საბაღოსნო სკოლისა და სამეურნეო საზოგადოების ხარჯთ-აღრიცხვას, აირჩევს საზოგადოების ძღვიანს, ხაზინადარს და აგრეთვე განიხილავს სარევიზიო კომისიის მოხსენებას საზოგადოების მოქმედების ანგარიშებისა გამო.

◆ **საბაღოსნო სკოლის გამგე.** რადგან ტფ. საბაღოსნო სასწავლებლის გამგის ადგილი თავისუფალია, სამეურნეო საზოგადოების საბჭო იწვევს მსურველებს ამ თანამდებობაზე განცხადებანი შეიტანონ საზოგადოების საბჭოში.

◆ **გაუგებრობა თუ მიუტევებელი დაუდევრობა.** ამ ორმოციოდ დღის წინად მუხრანის ქუჩაზე მიმავალ არუთინ ჯუვალაკოვისათვის ძაღლს უკბენია. ჯუვალაკოვს დაუყონებლივ მიუმართავს ქალაქის ექიმის გედალინისათვის, რომელსაც, როგორც ჯუვალაკოვის მახლობელნი ამბობენ, ჭრილობისათვის ექიმობა დაუწყია და დაურწმუნებია, რომ საშიში არა არის რაო. ვითომ ძაღლიც შეუმოწმებია, ვისაც ჯერ იყო, მაგრამ ცოფიანად არ უცვნია. ჯუვალაკოვს ნაკბენი ხელი მოურჩა, მაგრამ გაიარა ორმოცმა დღემ და ცუდად იგრძნო თავი. 27 თებერვალს ჯუვალაკოვი პასტერის ასაცრელ სადგურში მიიყვანეს. უბედური სრულ ჭკუაზე იყო, დადიოდა, არავის არაფერს ერჩოდა, მაგრამ წყლისა უკვე ეშინოდა. დაუყონებლივ მიიღეს ზომა, მაგრამ გვიან იყო. იმავე დღეს, საღამოს 9 საათზე ჯუვალაკოვი გარდაიცვალა.

◆ **გუშინ, გწერდით, რომ 26 თებერვალს შუა-ბაზარში მოჰკლეს ბაყალი ზურაბ მამასახლისოვი. მამასახლისოვი მოუკლავთ თავის ბინაზე კოჩუბეის ქუჩაზე (№ 9).**

27 თებერვალს, საღამოს 5 საათზედ, შინ არ ყოფნის დროს ნიკოლოზ მელიქ ნუბაროვს სახლში შეპარვიან ქურდები და გაუტანიათ 101 მანეთის ნივთები.

◆ 26 თებერვალს ნაშუადღევს 3 საათამდე ბარონის ქუჩაზე მცხოვრებ ა. თ. ყიფშიძის ბინიდან ვიღაც ქურდებმა მოიპარეს 70 მანეთის ნივთები.

ქუთაისის ქრონიკა

◆ 22 ამ თვეს გაჩენილმა ცეცხლმა ებრაელების უბანში დიდი უბედურება დაატრიალა. გაუფრთხილებლობის გამო ერთის ებრაელის სახლში ... ცეცხლი და აქედან მახლობელ ხის სახლზე გადასულა ... ცეცხლმა თავისუფლად დაიწყო თარეში. სახლები აქ ზედი-ზედაა მიყრილი და ცეცხლის მქრობელი რაზმი, კარგი მანქანებითაც რომ ყოფილიყო აღჭურვილი, ვერც-კი მიუდგებოდა სახლებს ცეცხლის გასაქრობად. სულ მცირე ხნის განმავლობაში ცეცხლი მოედო 35 სახლს. ყველა გადაიბუგა. ძნელი ასაწერი და წარმოსადგენია ის ერიამული, რომელიც დაზარალებულ ებრაელებში დატრიალდა; ყველა სცდილობდა ცოტა რამ მაინც გადაერჩინა ცეცხლისაგან, მაგრამ საქმეს ის ამწვავებდა, რომ ცეცხლი შაბათ დღეს გაჩნდა და ბევრი ებრაელი ვერა ჰბედავდა მუშაობას, ხოლო უცხო კაცი რას დაგიდევს, როცა თვით პატრონი გულხელდაკრეფილი უყურებს თავის ავლადიდების ცეცხლისაგან შთანთქმას! ცეცხლის ალით მოდებული დიდი არე-მარე საზარელ სანახაობას წარმოადგენდა. ტკაცა-ტკუცს უერთდებოდა ხალხის ერიამული და გმინვა. სწორედ ცეცხლის გაჩენის დღეს ჩავარდა გიჟური აღმოსავლეთის ქარი, თორემ ქარიან დღეში ნახევარი ქალაქი გადაიწვოდა. მიუხედავად მშვიდ დღისა, ცეცხლი არქიელის გორაზე გაუჩნდა ყავრით დახურულ სახლს და დროზე მიღებულმა ზომებმა თავს აააცილა ეს მხარე უბედურებას. ჩაქრა ცეცხლი და დარჩა 100-მდე ოჯახი უღუკმაპუროდ და უბინაოდ. ცეცხლმა, გარდა შენობისა, შთანთქა შინაური პირუტყვი და ორი კაციც. გაჭირვება ცეცხლისგან დაზარალებულებისა აუწერელია. შეკრებილ ცნობებიდან სჩანს, რომ სულ დაიწვა 35 სახლი, სადაც ბინადრობდა თურმე ასამდე ოჯახი. დამწვარი სახლები ქალაქს 45.000 მანეთად ჰქონია დაზღვეული, ხოლო მთელი ზარალი საჩქაროდ შეკრებილ ცნობებით უდრის 250,000 მანეთს. უბინაოდ დარჩენილთათვის კერძოთ უკვე იკრიბება შემოწირულება, მაგრამ რაც შეიკრიბა, პირსაც ვერ მოსწმენდს დაზარალებულთა გაჭირვებას. ნამესტნიკის თანაშემწის მიცკევიჩის თავმჯდომარეობით 25 თებერვალს შესდგა კრება, რომელსაც დაესწრნენ გარდა მოხელეებისა, ქალაქისა და თავად-აზნაურთა წარმომადგენელნი. კრებამ გადაუწყვიტია, დაზარალებულთა დასახმარებლად ვიცე-გუბერნატორის მაკაროვის თავმჯდომარეობით შეადგინოს კომიტეტი, რომელმაც ხელის მოწერა უნდა გამართოს მთელ რუსეთში. ხაზინიდან თურმე აპირებენ შემწეო-

ფელეტონი

შვილი

(შემდეგი*)

XII.

შვილს უკვე კბილი ამოუვიდა.

მაგრამ, საბედნიეროდ, არაფერი უქეიფობა არ გამოუწვევია.

ყოველივე რიგზე და ნორმალურად მიმდინარეობს.

მხოლოდ კბილის ამოსვლა სრულიად შემთხვევით გავიგეთ:

ქაშს ვაჭმევდით. უეცრად პირში კოვზმა გაიხმაურა.

კბილი იყო, რაღა თქმა უნდა.

რა სიხარული შეგვიდგა დედ-მამას!

პირველი კბილი ჩვენი შვილისა, ეს ხომ მთელი ეპოქაა.

ეხლა „უკბილო ბებერს" ხომ ვეღარ ვუწოდებთ ქეთუნიას—კბილიანი, კბილიანი ჩემი პაწია!

დედამ კი გამომიცხადა, რომ ბავშვს უკვე ყვავილი უნდა ავუცრათო.

ამან შეგვაფიქრა.

როგორ, დროა?

ექიმი და სახელმძღვანელოები კვერს გვიკრავდნენ.

მერე კიდევ დროც უწყობდა ხელს: ზამთარი, სიცივე. სულ ერთია ბავშვი მაინც კარში არ გაიყვანება. სჯობს ამ დროით ვისარგებლოთო.

მაგრამ, როგორც ყოველსავე გამოუცნობსა და გაუსინჯავს, ვუფრთხოდით ამ ოპერაციას.

ერთ შეკრების დროს შემოგვესწრო ჩვენი ახირებული მეგობარი.

ეეჰ, მოვიდა და ხომ მოგვიშხამავს იდილიას, ისედაც ვერა ვართ კარგს გუნებაზე.

ყვავილის აცრაზე ფიქრმა შეაკრთო მშობლები.

მაგრამ მეგობარმა სიცილით მოგვმართა:

— ნუ გგონიათ, რომ საკამათოდ მოვსულიყო. აქეთკენ მქონდა გზა და მხოლოდ ისე, სანახავად შემოველ თქვენსას. მერე კიდევ თვით ბავშვის წინააღმდეგი კი არა მაქვს-რა. პირიქით, დიდად მიყვარს ბავშვები. მომეცით აქა—ხელი წამიღო ქეთუნიასკენ.

დედამ გაიღიმა, მაგრამ სახეზე თითქო შიში დაეტყო.

— ნუ გეშინიათ, თქვენს ქეთუნიას ჩემთანაც არა უშავს რა. აი შეხეთ!

ბავშვმა გაუღიმა და თავისი თითი იმის ულვაშებს შეახო.

დედას გადაურბინა შიშმა. მერე ღიმილით წარმოსთქვა:

— ო, რომ იცოდე, ქეთუნია, ვის კალთაში ხარ ახლა?

— როგორ, ბარბაროსის კალთაში არა?—დააყოლა მეგობარმა.—ვინ იცის, შეიძლება ბარბაროსად, როცა წამოიზრდება, არც კი ჩამთვლის, თუ კარგად გაიგო ჩემი აზრი. ოო, მაგის დროს სულ სხვა იქმნება, სულ სხვა...—და თვალები, ჩვეულებისამებრ, შორს წაუვიდა მეგობარს. ასე სჭირდა, როდესაც თავისი „საპირ-ბოროტო" საკითხები მიიპყრობდა ხოლმე.

შემეშინდა: ვერ დაიკავა თავისი სიტყვა მეგობარმა-მეთქი.

მაგრამ ამ დროს კარები გაიღო და შემოვიდა „ჩვენი ქაიხოსრო".

„დედამ" მეგობარს ბავშვი ჩამოართვა.

გამიკვირდა „ჩვენი ქაიხოსროს" მოსვლა. დიდი ხანი იყო, არ ვენახეთ, არ გვენახა.

დამავიწყდა კიდეც მისი არსებობა.

ჩვენს დროში..., მას შემდეგ, რაც ამდენი ზნეობრივი და ფიზიკური „რტყმევა" განვიცადეთ, არ მეგონა, თუ ქაიხოსროები კიდევ ცოცხლობდნენ.

ესეთი ტიპი „გადავარდა" მეგონა.

თითქოს ადგილი აღარა ჰქონდა „ჩვენს ცხოვრებაში".

ნეტარ-ხსენებულის „კუდაბზიკას" ბიძაშვილი.

კიდევ სცოცხლობს თურმე!

მაგრამ „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია".

შემოვიდა თუ არა, მაშინვე მივხვდი.

ძალიან ჩამოხუნებული იყო.

არა, „კუდაბზიკაც" ვერ დაიჩემებდა გარეგან ელვარებას, მაგრამ ქაიხოსრო ხომ მისი ბიძაშვილი იყო.

ამას ერთ დროს ნივთიერი დონე ჰქონდა.

ქუთაისს რომ ჩამოვიდოდა ხოლმე! კარგი შესახედი ვაჟკაცი იყო მაშინ.

მხარ-ბეჭ განიერი, ჩასკვნილი, „ზემოურ", იმერულ ღვინით გაჟონჟღილებული. შავი მაუდის მზზინვარე ჩოხაში, ყუთნის აბრეშუმის ახალუხში, მსხვილ და ფართო ვერცხლის ბალთებიან ჩერქეზულ სარტყელ-შემორტყმული, დიდი შქლიანურ ფართო, უშველებელ ხანჯლიანი.

ვინ უფრო ჰყვიროდა „ჩვენს კრებებზე" (ბანკობანს ვიხსენებ)?—ჩვენი ქაიხოსრო.

ვინ უფრო შეზინძლილებული იყო ამავე კრებებზე?—ჩვენი ქაიხოსრო.

ვინ უფრო მახვილობდა დარბაისლურ მაძღარ სადილის შემდეგ საერთო მასლაათში, ან თვით ესეთ გასაძღომ სადილზე ვინ უფრო იქცევდა სუფრის ყურადღებას?—კვლავ ჩვენი ქაიხოსრო.

ან თავის სოფელში ვინ უფრო განთქმული იყო პურ-მარილით, ქარვისებურ სევდა გადამყრელ „ცამურით"? — ჩვენი ქაიხოსრო.

«ვაჰ, დრონი, დრონი
ნაქებნი მტკნარად,
წარვიდნენ, განქრნენ
სიზმარებრ ჩქარად!»

„ესრეთ წარმავალ არს მამა სოფლის დიდება", თითქო ამბობდა ეხლა მისი ჩამოხუნებული უბრალო შალის ჩოხა, „ვიგონის" ნაცრის ფერი ახალუხი და პარუსინის ტალახ-მოცხებული, გადმოშვებული შალვარი. აღარც ხანჯალი ჩამოპორწიალებდა. მაგისთვისაც აიხადათ.

სახეც ვერა ჰქონდა თითქო რიგზე.

სად იყო მისი მწყაზარი, თუმცა შეჭაღარავებული, მაინც მუდამ კოხტად გაკრეჭილი წვერ-ულვაში?

ან თვალები—მაძღარი, კმაყოფილი, მქირდავი და მბრძანებელი.

აარა, „ჩვენი ქაიხოსრო" მოკუნტულიყო.

მაგრამ ჩვენთან მაინც სწორა შემოვიდა.

„შენი ჭირიმე" და „შენ გენაცვალეთი" შემოიჭრა.

არ მწყენია მისი მოსვლა. ის [illegible], რომ მეგობრის ფილოსოფოსობისაგან დამიხსნა.

— აბა, ქაიხოსრო, მობრძანდით, ქაიხოსრო, დაბრძანდით. რას იქცევით? როგორა ხართ?

— ეეჰ, ნულა მკითხავ, შენი ჭირიმე! რაღა უნდა გავაკეთო? ვისთვის რა საჭირო ვარ! „შინ ცოლ-შვილს მოვძულებივარ, გარედ ვარგივარ აღარა!" ეჰ! შენ შენი ამბავი მიბრძანე, შენ შემოგევლოს ქაიხოსრო. ბიჭო, ეს ვისია, შენი ჭირიმე, ვისი ბავშვია? თქვენი? ოოჰ, მიამა, მამა ჩემი ნუ წამიწყდება, მიამა, შენ ნუ მომიკვდები. მოდი აქ, ბაბუა, მოდი გენაცვალოს ქაიხოსროს გაოხრებული თავი!

მოხუცის მიახლოვებაზე ბავშვი აჭყივლდა.

— აარა, შენ გენაცვალე, აარა, შენი ჭირიმე! თუ არ გნებავს, ვინ რას გაგიბედავს, გენაცვალოს ქაიხოსრო. მაინც ჩემისთანა ბებრეკი მოხუცი რაში გეჭირება, ანგელოზო! ოოჰ, მიამა შენ არ მომიკვდე, რომ შვილი გყოლია. რას გევიგებდი, შენი ჭირიმე, ამდენი ხანია არ მინახავხარ. უნივერსიტეტში რომ წადი, მას შემდეგ აღარ მინახავხარ, ჩემო ბატონო, და მას აქეთ კი ვინ იცის რამდენმა წყალმა ჩაიარა. ახლა დავაჟკაცდი, ცოლი შეირთე, შვილიც გყოლია,—გაგიზარდოს მამა ზეციერმა,—სამსახურში ბრძანდები. უჰ, მიამა, მამი ჩემის სული ნუ წამიწყდება. ბულვარში მითხრეს ყმაწვილებმა და გულმა არ მომითმინა, რომ არ შემოვსულიყავი.

— გმადლობთ, ჩემო ქაიხოსრო. „არ დავიწყება მოყვრისა არიდეს გვიზამს ზიანსა".

— ოო, კიდევ გახსოვს შაირებიო? არ გარუსებულხარ, მადლობა ღმერთს! აბა შენ კი არ გავხარ ზოგიერთ ჩვენ ბოლოქანქალებს!

უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენა.

მეგობრისა შემრცხვა.

შემრცხვა, რომ ქაიხოსრომ, შეიძლება უნებურადაც, კონსერვატორებში მომაქცია.

და ვეცადე საუბარი სხვა გზით წამეყვანა.

ვინ იცის, რას არ შევეხეთ.

ქაიხოსრო გვსინჯავდა. გვსინჯავდა ლაპარაკში.

არ იცოდა, საით გადაგვყოლოდა. საით იყო ჩვენი სული და გული. თუმცა ხერხიანად, თითქოს ფეხ-აკრეფით მოგვდევდა უსისტემო, არეულ-ჩარეულ ლაპარაკში.

როგორც იმერელი, ქაიხოსროც ხომ

*) იხ. „ისარი" № 44.

ბის აღმოჩენას; ყველა ეს კარგია, მაგრამ საკითხი ის არის, დროით დაეხმარებიან ულუკმა-პუროდ და უბინაოდ დარჩენილ ხალხს თუ არა?! კომიტეტის წევრებად დაინიშნენ ქალაქის თავი, სახაზინო პალატის და გუბერნატორის წარმომადგენელნი, ორი ებრაელი, რომელთაც ცნობები უნდა მიაწოდონ კომიტეტს დაზარალებულთა შესახებ. აუწერელია დაზარალებულთა მდგომარეობა. დახმარება ჩქარი და დაუყოვნებელია საჭირო. კარგს იზამენ გაზეთები, თუ თავიანთ მკითხველთა შორის ხელის მოწერას გამართავენ.

✦ 23 ამ თვეს დაპატიმრეს ქართულ გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფე ან. კიკნაძე.

✦ 26 თებერვალს არ შესდგა ქუთაისის ქალაქის საბჭოს სხდომა, რადგან კანონიერი რიცხვი ხმოსნებისა არ გამოცხადდა. ბოლო დროს ძალიან ხშირად აკლდებიან ხმოსნები მოვალეობას.

✦ ქუთაისის ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა შესდგა. გამგეობის პირველ სხდომაზე თავმჯდომარედ აირჩიეს თ-დ კ. ღ. ერისთავი, ამხანაგად—ქ-ნი მარიამ ანჯაფარიძე, მდივნად არჩილ ავალიშვილი და ხაზინადრად—გრიგოლ აბაკელია. გამგეობას აზრათ აქვს თავის საშუალებათა გასაძლიერებლად წარმოდგენა გამართოს დიდ მარხვაში.

პროვინციის ცხოვრება

კახეთი. ადიზან გაღმა მხარე გაღმა მხრის, ე. ი. ვეჯინის ნაწილის მცხოვრებნი ქონებრივად და ნივთიერადაც შეძლებულნი არიან, ვიდრე გამოღმა მხრისა. მამულ-დედული მართლაც მოჭარბებული არა აქვთ, მაგრამ უმიწაწყლობას ისე ვერა გრძნობენ. ამას გარდა მუდამ თეთრად შემოსილ კავკასიონის მთას თითქმის ყველა სოფელი უხვად დაუჯილდოებია სარწყავ წყლებით, რის გამოც ვენახებს დიდ ზედაგედას ვერ იქონიებს ხოლმე ჭირნახულზე. მაშინ თუ სხვა მხარეს ვენახის გამო მოსავალი ისეთი მცირე იყო, რომ ბევრ სოფელს ერთხელაც შემოაკლდა წლის სარჩო, აქეთ ამ მხრივ ვერ დაემდურებიან და ზოგ სოფლებიდანაც ხომ ქიზიყშიაც წაიღეს ბევრი, რის გამო მისმა ფასმა საშინლად აიწია...

აქეთ მხრის მცხოვრებნი რამდენადაც ნივთიერად დგანან მაღლა, იმდენად გონებრივად არიან დაქვეითებულნი სწავლა-განათლება ისევე აინტერესებს ჩვენებურ გლეხს, როგორც წინეთის საქმეები. იმ ორიოდ სამრჩევლო და სამინისტრო სკოლისაც, რომელიც აქა იქა ბჟუტავს, ცერად უყურებენ მცხოვრებნი და არც, საკვირველია, რადგან აქედან თუ მარტო წერა-კითხვას სწავლობენ, თორემ პრაქტიკული ცოდნა არაფერი გამოაქვს მოსწავლეს და მისი მშობელიც იქ გატარებულ დროს დაკარგულად სთვლის.

ამას გარდა სოფ. ვეჯინში არის კიდევ ეგრედ წოდებული სატხენის შორეულ დაწყებითი სასწავლებელი, ორ-კლასიანი, სამეურნეო ნაწილით, რომელზედაც მინდა ცოტა შევჩერდე.

ეს სასწავლებელი რიგიანად რომ იყოს დაყენებული—სამეურნეო ნაწილს ექცეოდეს უმთავრესი ყურადღება და მასთან მისი კურები დაა იყოს ადგილობრივ მცხოვრებთათვის დიდ სარგებლობას მოუტანდა მთელ მხარეს, მაგრამ ეს ასე არ არის, როგორც მკითხველი დაინახავს. სატხენის სასწავლებელი პირველად დაარსდა 1875 წელს სოფ. სატხენისში ამ სოფელში გადმოსახლებული რუსები სცხოვრობენ, რიცხვით ასე 40 კომლამდე. შეიძლება სასწავლებელს ის მიზანი ჰქონდა, რომ ხელი შეეწყო ახალ მოშენეთათვის სწავლის საქმეში როგორც სჩანს სასწავლებელი დაარსებულია სწორედ ამათთვის და კეთილ შობილთა შვილთათვის. ასე, მაგ. 75 მოსწავლიდან 40 თავადაზნაურთა და მოხელეთა შვილი ყოფილა, ხოლო დანარჩენი რუსთა მოსახლეობისანი. 1894 წელს ხსენებული სასწავლებელი ს. ვეჯინში გადმოიტანეს და მას შემდეგ შედარებით უკეთესად მოაწყეს სამეურნეო ნაწილი, მაგრამ 17 აგვისტოს 1906 წლის წვადიდობამ ათ დესეტინამდე ვენახიანად შემუშავებული ბაღ-ვენახი რიყედ აქცია და ქვა ქვაზე არ დასტოვა, ამას გარდა თვით შენობა ძალიან დააზიანა და ამაზე საშინელი მსხვერპლი უფრო ის იყო, წვიმამ 8 მოსწავლე დაახრჩო...

სასწავლებლის და პანსიონის შენახვა წელიწადში 15 ათას მანეთამდე ჯდება. ამ ხარჯს სახაზინა ეწევა. ამდენი ფული იხარჯება და სასურველი ნაყოფი კი ვერ მოაქვს, რომ ცხოვრებისთვის ცოტა მაინც მომზადდეს მოსწავლე. წყალ დიდობის შემდეგ, როცა მთელი სასწავლებელი აახრა წყალმა, ლაპარაკი აღიძრა ამ სასწავლებლის ისევ სოფ. სატხენისში გადატანის შესახებ. თუმცა სამწუხაროა, მაგრამ მარჯვე დრო იყო, რომ ამ მხრის მცხოვრებთ ესარგებლათ შემთხვევით და ეთხოვნათ, რომ საშუალო სასწავლებლად გადაეკეთებინათ, სადაც სავენახოთ ნაწილსაც ფართო ადგილი ექნებოდა. 15 ათას მანეთს ხაზინა იღებს და დანარჩენ საჭირო ხარჯის გადებაც ამათთვის სრულებით ადვილი იქნებოდა და ასეთ სასწავლებელში კი მეგლეხთ შეეძლოთ თავიანთ შვილების აღზრდა და სასურველ ნაყოფსაც გამოიღებდა რასაკვირველია ამაზე ხმა არავის ამოუღია და სასწავლებლის შეკეთების შემდეგ ჩვეულებრივ თავის ვიწრო ფარგალში განაგრძობს მოქმედებას. **ეული.**

—

მეჯვრისხევი (გორის მაზრა). ამ ბოლო დროს მეჯვრისხევი ძალიან დაქვეითდა. აქ არსებობდა ორ კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი და მშვენიერი ბიბლიოთეკა თავის სამკითხველოთი. თითქმის ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთს ნახავდით აქ. გლეხკაცობა ძალიან ეტანებოდა ჟურნალ-გაზეთებს; აკითხებდნენ მცოდნეს და თითონ გულს მოდგინეთ უგდებდნენ ყურს წარმოიდგინეთ, რომ ზოგიერთმა გლეხმა, იმის ინტერესით, რომ წიგნები და გაზეთები ეკითხნა, მოინდომა ქართულ წერა-კითხვის სწავლა. ხშირად სცენის მოყვარენი წარმოდგენასაც სდგამდნენ საქველ-მოქმედო აზრით. იყო აგრეთვე აფთიაქი და სამკურნალო. აქ სცხოვრობდნენ ექიმი, ფერშალი და ბების ქალი. დიდ ძალი ავადმყოფი ეტანებოდა; ისე დღე არ გაივლიდა, რომ სამკურნალოს ორმოცი-სამოცი ავადმყოფი არ მიმდგარიყო. დამდამობით დიდი ქუჩა ფარნებით იყო განათებული სავლაგე ყოველ დღე იყო ყოველსავე ამას ახლა მოკლებულნი ვართ.

დაიწყო თუ არა განმათავისუფლებელი მოძრაობა, მეჯვრისხეველებმა მოინდომეს, რომ სამინისტრო სასწავლებელი და სამკურნალო გადასულიყო სახელმწიფო ხარჯზე, რადგან იმდენი შეძლება არა ჰქონდათ, რომ ესენიც თავიანთ ხარჯით შეენახათ; ამიტომ ეს მოთხოვნილება სხვა მოთხოვნილებასთან ერთად წარუდგინეს მთავრობას. მაგრამ ეს ყველაფერი ეს, როგორც მოსალოდნელი იყო, გლეხების ინებებად დარჩათ დაიკეტა სასწავლებელიც და სამკურნალოც. გაჰყიდეს მედიკამენტები და სხვა ნივთები, დარებული ორი ათას მანეთზე მეტად სულ უმნიშვნელო ფასად. გამონახვიდი ფული ვის ხელშია ან რას უნდა მოახმარდეს, ეს აღახმა უწყის. ფული კი მეჯვრისხევის საზოგადოებისაგან არის აკრებილი. ავადმყოფობანიც გახშირებულია, შველა კი არსაიდან არის.

ბიბლიოთეკაც არის მიტოვებული ღვთის ანაბარად. ხალხს მაგიერად თაგვები სარგებლობენ; თითქმის სულ გახრებულია იმდენი წიგნი. ზედამხედველები კი არაფერ ყურადღებას არ აქცევენ.

მეჯვრისხევში შიმშილობა უკვე დაიწყო. პურის და სიმინდის შოვნა თითქმის აღარ არის. კოდი პური შვიდი მანეთია, მალე აიწევს რვა მანეთამდის; სიმინდს კი ოთხ მანეთად თუ იშოვნის კაცი კოდს, დიდი სასიხარულოა. ისედაც შევიწროებული მეჯვრისხეველები უფრო დიდ გაჭირვებაში ჩაცვივდნენ ნადელის ფულის უთავბოლოდ გაწერით: ზოგს ერთი დღის ნადელი აქვს და სამი დღისა კი გაწერეს; ზოგს ცხრა დღის მაგივრად თხუთმეტი დღისა გაწერეს. შეაგროვენ სასოფლო განცხადებისათვის ბევრი ილაპარაკეს ამასთანა უსამართლობაზე, მაგრამ ვინ შეიწყნარებდა. თუ დანიშნულ ვადაზე არ წარადგინათ ვაი მათი ბრალი!

მეჯვრისხეველები ვიღლობენ სასოფლოდ ახლო მდებარე სახნავ მიწას „გორის“ სათავადაზნაურო ბანკისაგან. ჯერ შეუდგნენ საქმეს. **წერაქვი.**

რუსეთი

✦ **რევოლიუციონერი ჩაიკოვსკი.** ცნობილი ემიგრანტი, რევოლიუციონერი ჩაიკოვსკი ამ ჟამად პეტრე-პავლეს ციხეში ზის. როგორც გაზეთები იუწყებიან მოხუცებული რევოლიუციონერი თურმე ნერვებით ავად გამხდარა. ჩაიკოვსკის ნათესავები ცდილობენ, რომ პროფესორს ბეხტერევს ნება მიეცეს ავადმყოფ პატიმრის წამლობისა.

✦ **ადმირალ ვირენის განკარგულება.** შავი ზღვის ფლოტის უფროსმა ადმ. ვირენს ბრძანება გაუცია, მზის ჩასვლის შემდეგ არც ერთი სავაჭრო გემი აღარ უნდა შემოვიდეს სევასტოპოლის ბუხტაში. თუ რომელიმე გემი ურჩობას გასწევს, სანაპირო ბატარეებმა მაშინვე ყუმბარა დაუშინონო.

✦ **ხმა გერარდზე.** ხმა დადის, უმაღლეს მთავრობის პირთაგან კომისიას დანიშნავენ და დაავალებენ გამოიძიოს ფინლიანდიის ყოფილ გენ-გუბერნატორის გერარდის მოქმედება.

✦ **სამხედრო სამინისტროს განმარტება.** მართლმადიდებელ ჯარისკაცებს უთხოვნიათ ნებართვა სხვა ქრისტიანულ სარწმუნოების მიღებისა. სამხედრო სამინისტრომ განმარტა, რომ მართლმადიდებელ ჯარისკაცს სარწმუნოების გამოცვლა არ შეუძლიან, სანამ ნამდვილ სამსახურის ვადას არ გაათავებსო.

✦ **ლევ ნ. ტოლსტოის იუბილეი.** საიუბილეო კომიტეტი აპირობს საერთაშორისო კრებულის გამოცემას. სხვათა შორის კრებულში იქნება დაბეჭდილი ცნობილი ამერიკელ პოლიტიკურ მოღვაწის ბრაიანის წერილი, რომელშიაც ამერიკელ დემოკრატების მეთაური ასწერს თავის სტუმრობას იასნაია პოლიანაში; კენანის წერილი ტოლსტოის მნიშვნელობაზე რუსეთის პოლიტიკურ განვითარებისთვის; წერილები ოქტავ მირბოსი და კნუტ ჰამსუნისა; ლეონიდ ანდრეევის მოგონება; როგორ იყო იგი ჩავარდნილი დიდს სალოწარ კვეთილებაში და ტოლსტოის წყალობით ისევ დაუბრუნდა მწერლობას.

✦ **საკატორღო [illegible] ციხეში.** 9 თებერვალს ოდესის ციხეში ზედამხედველმა რევოლვერით მოჰკლა ტუსაღი შევერი, რომელსაც სამხედრო სასამართლომ ჯერ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, ხოლო შემდეგ ეს სასჯელი შეუცვალა 20 წლის კატორღით.

✦ **ბიბლიოთეკის დაკეტვა.** ბელოკრინცის სამიწადმოქმედო სასწავლებლის ბიბლიოთეკა გაჩხრიკეს, „დონსკაია რეჩი“-ს რამდენიმე გამოცემა იპოვეს, ამაზე თითონ ბიბლიოთეკა დაკეტეს. გაზეთების გამოწერა აუკრძალეს მოსწავლეებს.

უცხოეთი

შაჰის მოკვლის განზრახვა. გაზეთებში ახლა დაწვრილებითაა ნაამბობი სპარსეთის შაჰის მოკვლის განზრახვის ამბავი.

თუმცა შაჰი გარეგნულად შეურიგდა მეჯლისს, მაგრამ არავისთვის არ შეადვინდა საიდუმლოებას, რომ დესპოტიზმმა იარაღი არ დაჰყარა და შაჰი თავის კამარილიით ახალ საფრთხეს უმზადებდა კონსტიტუციას. სამაგიეროდ საიდუმლო ორგანიზაციებიც მხნედ განაგრძობდნენ მოქმედებას და მრავალ ახალ წევრს იძენდნენ სპარსეთის ყველა კუთხეში. ამ ორგანიზაციების უმთავრესი მიზანი იყო —მაჰმად-ალი-შაჰის ტახტიდან გადაყენება. პროპაგანდას შაჰის წინააღმდეგ ხშირად საჯაროდაც ეწეოდნენ. იანვრის გასულს პრინცმა ამჯას ელ-მიულკმა ხალხით გაჭედილ მეჩითში ამნაირი სიტყვა წარმოსთქვა: „თეირანის ხალხო! შენის უბედურების თავი მიზეზი ისაა, რომ შენ მბრძანებლად მუჰამედ-ალია. თუ გინდა ბედნიერი იყო, ეგ უნდა გადააყენო ტახტიდან და იმის ადგილას სხვა დასვაო“. რაღა თქმა უნდა, ამჯასის სიტყვა გავრცელდა და უფრო ააღელვა ხალხი.

შაჰსაც ესმოდა, რომ პოლიტიკური მდგომარეობა გამწვავებული იყო. ამიტომ დიდის ყოყმანის შემდეგ გაბედა მუჰამედ ალიმ 15 თებერვალს სასახლიდან გასვლა. შაჰი იმის წყალობით გადარჩა სიკვდილს, რომ ეტლში ჩაჯდა და არა ავტომობილში, როგორც წინად ჰქონდა განზრახული. ბომბის მსროლელთ ვერ შეიტყეს ეს ცვლილება და ბომბები ავტომობილს ესროლეს.

მეორე დღეს, 16 თებერვალს, ბომბა ესროლეს ვეზირ მაკსუს, შაჰის დიდ მეგობარს, მაგრამ ბომბამ მხოლოდ ორი გამვლელი კაცი დასჭრა. ცხადია, რომ სპარსეთში არსებობს საიდუმლო კავშირი, რომელსაც მიზნად აქვს შაჰთანა და იმის კარისკაცებთან ბრძოლა. ამ კავშირის ერთ-ერთ წევრს უთქვამს „ბერლ. ტაგ.“-ის კორესპონდენტისათვის:

ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ შაჰი ინტრიგებს ეწევა კონსტიტუციის წინააღმდეგ და არ დავცხრებით, ვიდრე იგი ტახტიდან არ გადადგება. შაჰის შეშინება უდევთ რევოლიუციონერებს გულში და არა მისი მოკვლა, რადგან მეორე შემთხვევაში უცხო სახელმწიფოები გაერევიან საქმეში. შაჰმა ყველა პარტიას მოაძულა თავი და სანამ იგი არ გადადგება, ჩვენი ქვეყანა მოსვენებას ვერ ეღირსება. ყოველ შემთხვევაში უნდა განიდევნოს ის სასახლის პარტია, რომელიც შაჰზე მოქმედობსო.“

წინა დღეებში შაჰს თურმე ბლომად მოსდიოდა გაზეთებიდან ამოჭრილი აღწერა პორტუგალიის მეფის მოკვლისა; იმ ადგილებს ქვეშ, სადაც ნახსენებია „ვიწრო ქუჩები, მიმავალი ლისაბონის სასახლისაკენ“, წითელი კარანდაშით ყოფილა გასმული. ჰფიქრობენ, რომ გაზეთის ამონაჭრებს მეგობრები უგზავნიდნენ შაჰსა, გაფრთხილება ეწადათ, რომ სპარსეთის ბრძანებელს არ გაევლო თეირანის ვიწრო ქუჩებში. სწორედ ასეთ ვიწრო ქუჩაში ესროლეს ბომბა შაჰსა.

ხალხი მეტად გაბრაზებულია იმით, რომ შაჰის დარაჯებმა მაშინვე თოფები დაახალეს გამვლელ ხალხს და იქვე 12 კაცი მოჰკლეს. სახლი კი, რომლიდანაც ისროლეს ბომბა, არ გაჩხრიკეს თურმე და მსროლელებმა გაქცევა მოასწრეს. სულ 30 კაცამდე იმსხვერპლა შაჰის მოკვლის განზრახვამ.

როდესაც გერმანიის საელჩოს წარმომადგენელი მივიდა სასახლეში მისალოცად, შაჰის უფროსმა კარის-კაცმა უჩვენა მე-

---

თავისუფალი დიპლომატი იყო და ამიტომ მოსდიოდა ეს.

„სითაც ქარი მოგიქრის, იქით მოგეფარებიო“, იმერლების გამოთქმულია ხომ!

ქაიხოსროსაც უნდოდა გაეგო—საით ჰქროდა ჩვენი ქარი.

იცით, ქაიხოსროს ასეთმა ქცევამ გამიტაცა, გამართო.

დიდი ხანი იყო, შუმი იმერელი არ მენახა და ერთხელ კიდევ მომინდა დავკვირვებოდი მის ხერხიანობას, მის მიხვეულ-მოხვეულობას.

ერთგვარი სიამოვნებაა, როდესაც კაცს აკვირდები. მას ჰგონია გატყუებს, „გაგაცურა“ თავის პირ-ბადეებით, შენ კი თითქო აჰყოლიხარ, რომ უფრო მეტად გამოაშკარავო მისი „ქამანდები“ და... მაინც ზემოდან დაჰყურებ.

ისე, როგორც ბავშვს, როდესაც იგი რასმე გეტიტინება.

„მიყვარს, მიყვარს მე ტიკტიკი ჩვილი ყრმისა!“

ან შეიძლება ეს გრძნობა უფრო ტლანქიც იყვეს—კატური.

თაგვს რომ ეთამაშება. იცის, რომ ვერ წაუვა ვერსად, მაგრამ განგებ უშვებს და თვითონ შორი-ახლო უყურებს, —აბა რას მოიქმედსო.

XIII

გამახსენდა, რომ ქაიხოსროს ვახშამი უყვარდა.

ცოლი შევასახელე.

უფრო ახალგაზრდა რომ ვიყავი, მაშინ შევამჩნიე ჩვენებურებს ეს ჩვეულება, რომ პურ-მარილს მეტად დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ.

განსაკუთრებით სოფელში.

ამაზე იყო ყოველი ერთი მეორის საკავშირო ცხოვრების გზები დამოკიდებული.

პურ-მარილის, შემის გულისათვის უდიდესს, სათნო საქმესაც ჩაიდენდნენ და უკიდურესს ბოროტებასაც.

დიდად გამოიცა მაშინ ამ მოვლენამ.

უთუოდ ესეთი გაოცებით იყო მოპყრობილი ახალგაზდა პოეტიც, რომელსაც ასეთმა გარემოებამ ეგრეთი გულსაკლავი სიტყვები წარმოათქმევინა:

„ვაი საწყალს და ბნელს მხარეს,
სად ძმა ძმაზედ ლესავს კბილებს,
სად მგალ-რბილში გაჯდომიათ
„ბუჩის მრწამსი“ თვით ყმაწვილებს!

არა, ღირს, რომ ვინმე ნიჭიერმა მწერალმა მოიცალოს და სავსებით აგვიხსნას „პურ-მარილის“ მნიშვნელობა ჩვენში.

ჰო და გამახსენდა პურ-მარილი.

დავტოვე ქაიხოსრო.

რა არის შეჩვევა? წარმოიდგინეთ, გამოცოცხლდა. თითქო უფრო ენა აება, უფრო გაიღო გულის კარი.

რა არ გამოუვლია! უფრო ამ ბოლო ხანებში.

ჯერ რომ ახალ-თაობამ აიყოლია და ასის-თავადაც კი დანიშნეს.

შემდეგ, რეაქციის მძვინვარების დროს დაჩოქილი, ხატით ხელში გენერალს რომ შეხვდა.

ბევრი სასაცილო, ბევრი გულის მომწყლველი კომიკურ-ტრაგიკული მდგომარეობა.

მაგრამ განსაკუთრებით შვილები!

—ოო, შვილებიო, ღმერთმა ნუვის ანატროს შვილის გაჩენაო. ტანჯვაა, მწუხარება, უბედურება და სხვა არაფერიო.

გაიტაცა თავის დარდმა და უთუოდ იმიტომ არ მოგვერიდა ჩვენ შვილიანს.

—უფროსი ვაჟი აფიცრად გამოვიდა, ომიანობის დროს წაიყვანეს და მომიკლეს წყეულებმა...

ისე ხერხიანად წარმოსთქვა—წყეულებიო,—რომ ვერ გავარჩიე კარგად, ვიზედა სთქვა. ჩვენს მთავრობას ემდუროდა თუ იაპონიის გულად მეომრებს.

—მეორე ვაჟი მთლად გადაჰყვა ახალთაობას და ეხლა ოლონეცის გუბერნიაშია.

მაგრამ ყველაზე უფრო საშინელი ის არის, რომ მისი თვალის ჩინი, მისი ნუგეში ელენიჩკა ვიღაც პროპაგანდისტს მიჰყვება თურმე. ვიღაც წივწივაძეა, უსახლ-კარო, უბინაო კაცი.

არა, ღმერთმა საშინლად დასაჯა ქაიხოსრო.

მერე რისთვის?

განა ცოტა იშრომა შვილებისათვის?

უფროსი ვაჟი იყო და უკანასკნელი ორასი თუმანი უზის მისი აღზრდა.

მეორე იყო და არც ის დაჯდომია ნაკლებად.

ქალს კი ხომ თან გადაჰყვა.

ჯერ აქ არის და ტფილისის ინსტიტუტის დამთავრებაო, შემდეგ ხალხში გამოყვანაო, კაბებიო, მორთულობაო და სხვ.

—მარა ახლა ყველაფერზე რომ წიხლი დამიკრა ჩემმა ქალმა! გამშორდა, გამექცა, რად და სად დადის, ვინ იცის... მაინც რამ შეცვალა?! მორთვაც კი ძველებურად აღარ ირთვება, ან კი რით მოირთოს! ჩემი აღარაფერი უნდა, საკუთარის შრომით უნდა ვიცხოვროვო. ახლა კი ვიღაცას გადაეჰკიდებია. დევიდუპე და დევიმზე კაცი. ამდენი ნაამაგარი სულ წყალში გადამიცვინდა. გავიგე ახლა აქ ბრძანდება ქუთაისში ჩემი ქალბატონი... იმიტომ უფრო ჩამოვედი. თქვენთანაც, ნუ გამიწყრებით და, ეს მაქვს შესავედრი. გავიგე, თქვენთანაც შემოდის ხოლმე ხანდახან...

მართალი იყო ქაიხოსრო. მისი ქალი მართლა დადიოდა ჩვენსა, ეს იყო ერთი მოხდენილი ახალგაზრდა, როგორც სხეულით, ისე გონებითაც. ყოველთვის სიამოვნებასა მგვრიდა მისი სადი მსჯელობა, ცოცხალი, მკვირცხლი და მიგნებული ლაპარაკი. ჩემი ცოლი ხომ შეყვარებული იყო.

ქაიხოსრო კი გვეხვეწებოდა ესეთი დამოუკიდებელი, თავის თავადი, გონიერი პიროვნება ჩვენ ძველებურად მოგვეთოვა და ძველ გაცვეთილს სათნოების გზაზე დაგვეყენებინა.

ხომ წარმოიდგენთ ჩვენს, მე და ჩემი ცოლის მდგომარეობას!

ჰხედავთ აქაც ქაიხოსროს საქციელს.

არა, იმერელი კაცი ტყუილა ფეხს არ გადასდგამს.

მე მეგონა, ტყუილად სანახავად მოვიდა და თურმე რა მსხვილი საქმე ჰქონია.

მერე რა მოიარებით, რა შორიდან შემოგვეპარა!

რას ვიზამდით!

ავუხსნით, რომ ამ საქმეში ვერ გამოვადგებოდით.

ელენიჩკას საკუთარი აზრი ჰქონდა, საკუთარი შეხედულება და იმის საქმეში გარევა უზრდელობისა და არა მკითხეობის გარდა ტყუილა წყლის ნაყვა იქნებოდა, მეტი არაფერი.

დიდად დაგვილონდა ჩვენი შორაპნელი ლირი. თუმც სხვა მიზეზების გამო, მაგრამ მაინც უარყოფილი თვის შვილთაგან.

ვახშამიც ვეღარ ჭამა გემრიელად. წამოწარდა.

იმედი დაეწმინდა და რომ იგრძნო თავისი უძლურება, შევატყე, რომ თვალს ცრემლი მოადგა.

აღარ დარჩენილა დიდ-ხანს.

ჩვენ ვერ ვაამეთ, მაგრამ ბოლოს მაინც ზრდილობიანად გამოგვეთხოვა.

შალვა დადიანი.

(დასასრული იქნება)

ჯლისის დეპუტაცია და უთხრა: „აი ნამდვილი მიზეზნი ბრიტანეთის განზრახვისაო“ თეირანში დარწმუნებულნი არიან, შაჰს რომ თავის ჯარის ერთგულების იმედი ჰქონოდა, იმ წამსვე დაატუსაღებინებდა ყველა მინისტრებს და დეპუტატებსაო.

ხმა საყოველთაო გაფიცვაზე პრუსიაში. პრუსიის ხალხი მედგრად იბრძვის საყოველთაო საარჩევნო უფლების მოსაპოებლად. წარსულ იანვრის დამდეგს მუშებმა ბერლინში და სხვა ქალაქებში დიდი დემონსტრაციები მოახდინეს; ბერლინში სისხლის ღვრაც მოხდა, მაგრამ მთავრობამ არავითარი ყურადღება არ მიაქცია ხალხის მოთხოვნილებას. პირიქით, როგორც ამბობენ, თავადი ბიულოვი დაჰპირებია პრუსიელ აგრარიებს, პრუსიაში არაფრის გულისათვის არ შემოვიღებთ საყოველთაო საარჩევნო უფლებას, ოღონდ თქვენ მხარი მიეცით მთავრობის კანონ-პროექტს პოლონელების მამულების ძალდატანებით გამოსყიდვაზეო. აგრარიებმა დახმარება გაუწიეს ხსენებულს კანონ-პროექტს და ეს უსინიდისო და „უკანონო“ კანონ-პროექტი კანონად აქციეს. ეხლა რიგი თავად ბიულოვზეა, ეხლა იმან უნდა შეასრულოს თავისი დაპირება—პრუსიის საარჩევნო წესი უცვლელად დატოვოს. ვნახოთ, როგორ შეასრულებს ბიულოვი თავის დაპირებას და ეგ-კია, რომ, როგორც გაზეთები იუწყებიან, პრუსიის მუშა ხალხი აღარა ხუმრობს და საყოველთაო საარჩევნო უფლების მოსაპოებლად საყოველთაო გაფიცვის მოხდენას აპირებს. „ფრაიზ. ციტუნგ“-ი იუწყება: სოციალ დემოკრატიულ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 18 მარტისათვის (ახ. სტ., ჩვენებურად 5 მარტს) საყოველთაო გაფიცვა დანიშნა. თავისუფალ მოაზრეთა პარტიის დეპუტატმა მიულერმა დაამოწმა ეს ცნობა პრუსიის ლანდტაგში. 18 მარტს ყველა მუშა, რომელიც-კი სოციალისტურ პარტიას ეკუთვნის, მოვალენი არიან სამუშაო მიატოვონ და ერთ-დღიური საყოველთაო გაფიცვა მოახდინონ.

შვეციისა და რუსეთის ურთიერთობა. შვეციის ელჩს ლონდონში გრაფ ვრანგელს უთქვამს გაზ. „მატენ“-ის თანამშრომლისათვის, ურთიერთობა რუსეთისა და შვეციის შორის ამ წამს მეტად ჩინებულიაო, მაგრამ თუ რუსეთი გააუქმებს პარიზის ხელშეკრულობის მუხლს ალანდის კუნძულების შესახებ, მაშინ შვეცია იძულებული აქმნება თავისი ინტერესები დაიცვას და არავითარ მსხვერპლს აღარ დაჰზოგავსო.

პასუხის მაგიერი.

(ღ. მ. ჩიჯავაძის თავის მართლების გამო).
(წერილი რედაქციის მიმართ*).

დიდი ხანი არ არის, რაც დასავლეთ საქართველოს ეპარქიების მოწაფეები სარგებლობენ ტფ. სემინარიაში არსებულ სასტიპენდიო თანხით. ისინი სარგებლობენ ამ სტიპენდიის თანხით მას შემდეგ, რაც ქუთაისში სემინარია დაიხურა, (1904-5 წ.). დასავლეთ საქართველოდან კვლავ იწყეს მოწაფეების გზავნა ტფ. სემინარიაში; გარნა, როგორც სტიპენდიანტების შესანახი საშუალებანი, ისე პარალელურ კლასებისა, ჯერ კიდევ ვერ იქმნა მოყვანილ იმ დონეზე, რომელზედაც ეს საშუალებანი იყო მოყვანილი 1894 წლამდე, როდესაც ქუთაისის სემინარია გაიხსნა დასავლეთ საქართველოს ეპარქიებისათვის და ამიტომ ეს საშუალებანი აღარ იგზავნებოდნენ ტფ. სემინარიაში ამ უკანასკნელ დრომდე. მ. ჩიჯავაძე ამბობს თავის წერილში („ისარი“ № 28), რომ «1881 წლამდის ტფილისის სასულიერო სემინარიას ინახავს მარტო **აღმოსავლეთის ეკლესიის** ხაზინა .. 1882 წელს **პირველად გზავნის დ. საქართველოს საეკლესიო ხაზინა სემინარიაში შესანახად მაგირდების 5,425 მ. და 700 მ.** ინსპექტორის თანაშემწეხო: (ხაზი ჩვენია); **ეს ფული პირველად შემოდის**“, და სხვა. ცოტა ქვემოდ მ. ჩიჯავაძე გვამცნებს, რომ „1887 წელს დ. საქართველოს საეკლესიო ხაზიდან 32 სტიპენდია არსდება და პარალელურ კლასების შესანახი და მაგირდებისაც (?!) სულ სემინარიას ეძლევა 5,485 მან.“ (?) მკითხველი ადვილად დაინახავს მოყვანილ ცნობების ერთმანეთის წინააღმდეგობას, რომელიც გაუგებრობითაა გამოწვეული. მ. ჩიჯავაძე ურევს ერთმანეთში ორ საგანს—დასავლეთ საქართველოდან გამოგზავნილ **„მაგირდების შესანახ თანხას“** („на содержаніе воспитанниковъ“, რაც ნიშნავს სასტიპენდიო თანხას) და **პარალელურ კლასების** შესანახ თანხას“ („на содержаніе параллельныхъ отдѣленій“). 1882 წელს „მაგირდების შესანახ“ თანხად მ. ჩიჯავაძემ „გვაწოდებს“ 5,425 მ. და 700 მ. ინსპექტორის თანაშემწისას, 1887 წელს კი მაგირდებისა და პარალელურ კლასების შესანახი თანხა ერთად არის ნაჩვენები—5,485 მ., ინსპექტორის თანაშემწის ფული (700 მ.) სადღაც იკარგება, თითქოს იმ წლის „თანაშემწეც“ აღარ ჰყოლოდეს ინსპექტორს. ვიმეორებთ, აქ ორი ხარჯთ-აღრიცხვის საგანი სხვა და სხვა ერთმანეთშია არეული. ან ერთი მეორეს მაგივრად ნაჩვენები. ჩვენ არა გვაქვს ხელთ საბუთი, რომ გადაჭრით ვსთქვათ—დ. საქართველო „პირველად“ რომელ წლიდან ჰგზავნის მაგირდებისა თუ კლასების შესანახს ტფ. სემინარიაში, მაგრამ გვაქვს საბუთი გადაჭრით ვსთქვად, რომ ასეთი „გზავნა“ დ. საქართველოს უფრო ადრე დაუწყია, ვიდრე მ. ჩიჯავაძეს ჰგონია (1882 წ.). მაგალითად, „პირველი კლასის“ შესანახად დასავლეთ საქართველოს ეპარქიებისაგან გამოგზავნილი ფული 1250 მ. აღნიშნულია 11 მარტის 1876 წ. თარიღით, სემინარიის ტაძრის დიაკვნის (მთავრის) შესანახი 250 მ. 7/11 დეკემბრის 1884 წ., მეორე კლასის შესანახი 1260 მ. 3/19 მაისის 1885 წ., ინსპექტორის „ერთი თანაშემწის“ შესანახი 700 მ. 3/18 ივლისის 1886 წ., მესამე კლასის შესანახი 1760 მ. 9 ოქტომბრის 1887 წ., მეოთხე კლასის სასახი 870 მ. 19 სექტემბრის 1885 წ., ინსპექტორის „მესამე თანაშემწის» შესანახი 700 მ. 22 სექტემბრის 1889 წ., „იმერულ გალობის მასწავლებელს“ 150 მ. 3/19 მაისის 1885 წ. სულ 1890 წლისთვის დასავლეთ საქართველოს ეპარქიებიდან გამოგზავნილ ფულის წლიური ჯამი „პარალელურ კლასების და მსახურთა“ შესანახი შეადგენს 6930 მ.

ეხლა ვნახოთ რამდენი ფული იგზავნებოდა იმავე დ. საქართველოს ეპარქიებიდან „მაგირდების შესანახად». ამ ფულის რაოდენობა 1890 წლისთვის აღწევს 6025 მ. (ნახე Опред. Св. Синода 6/26 ноябрь 1874 г., 11/20 Сент. 1874 г. и 6/16 Іюля 1890 г.), სულ „მაგირდებისა და პარალელურ კლასების შესანახად“ იგზავნება დ. საქართველოდან 12,955 მ. ესე იგი იმდენი, რამდენსაც მოსთხოვდა უმაღლესი სასულიერო მთავრობა. ამ დროს კი, როგორც სამღვდელოების კრებაზედაც განვაცხადე, ბერძნებისა და რუსების მოწაფეები მუქთად სარგებლობდნენ საქართველოს ეკლესიის ხაზინიდან ძირითად თანხით, ისინი ერთნაირად იყვნენ გამოჭიმულნი, როგორც „ნორმალურ“, ისე „პარალელურ» კლასებში, სტიპენდიებიც არა თუ ობლებს და მეცდავითნის შვილებს, მღვდლის შვილებსაც კი ჰქონდათ დანიშნული, როდესაც ხშირად ღარიბ-ღატაკ მედავითნის შვილები საქართველოს ყველა კუთხიდან ღვთის ანაბარად იყვნენ დაყრილები და ამხანაგებისაგან სემინარიის სახადილოდან ქურდულად ამოტანილ პურის ქერქებით იკვებებოდნენ, გარდა ბინა ჰქონდათ ტფილისის „ტრუდშჩებებში“! Sot! ეს დიდი ხნის «ისტორია“ არ გეგონოთ, მკითხველო, ასეთი მაგალითები მე და ჩიჯავაძის წვრობის დროსაც ხდება ხოლმე... ასეთ „ტრადიციებში“ ქართველთ პურ-მარილით აღზრდილნი რუს-ბერძენ დეპუტატი მღვდლები, რადა საკვირველია, რომ უფლებებს იდგენდნენ არა მარტო სემინარიის სტიპენდიებზე, არამედ თვით სემინარიის შენობაზედაც, როგორც ეს მოინდომეს სამღვდელოების კრებაზე. ზოგიერთი ჩვენი დეპუტატთაგანი უდასტურებენ კიდეც მათ ასეთ უფლებებს, როგორც დაუდასტურეს დედათა საეპარქიო სასწავლებელში მიტროპოლიტ იონიკეს (ექსარხოსად ნამყოფი) სტიპენდიებზე უფლება, როდესაც ეს სტიპენდიები ქართლ-კახეთ-იმერეთის ეპარქიების სახელზე ჰქონდა იოანიკეს დაარსებული, გარნა ერთი ხანია „იმერლებს“ ხელი დააბანინეს ამ სტიპენდიებზე, რუს-ბერძენთ სამღვდელოება კი სრულ-უფლებიან თანამონაწილედ იქმნა აღიარებული დეკემბრის კრებაზე. ელემენტალური ზრდილობა, თუ არ სამართლიანობა, მოითხოვდა, რომ „თბილისის იოანნიკეს დედათა ეპარქიალურ სასწავლებელში“, იმ იერარქის სახსოვრად, თითო სტიპენდია მაინც დარჩენილიყო იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპარქიების სახელზე.

რომ ვინმემ კაცი-ჭამია არ დამწამოს, საჭიროდ ვსთვლი განვაცხადო შემდეგი: მე წინააღმდეგი არ ვიყავი და არც ვარ რუს-ბერძენ სამღვდელოების ობოლ-ღარიბთა შვილებს ესარგებლნათ ჩვენის სემინარიითაც, სტიპენდიებითაც, მხოლოდ იმ პირობით, რომ მათ ეცნოთ ჩვენი მასპინძლობა და არ გამოეცხადებინათ ჩვენზე რაღაც უზურპატორული უფლებები, თუ გინ „ძალიან მცირე“, როგორც მ. ჩიჯავაძე ამბობს, და ღვიძლ ძმებში „შუღლის“ ჩამოგდებისათვის ხელი არ შეეწყოთ...

ჩვენ ზემოდ აღვნიშნეთ, თუ რა შემწეობას უწევდნენ დასავლეთ საქართველოს ეპარქიები ტფ. სემინარიას ქუთაისის სემინარიის გახსნამდი. სამღვდელოების კრებაზეც განვაცხადე ესე და ისიც დაუმატე, რომ «იმერეთის ეპარქიები“ არც ეხლა ამბობენ უარს დახმარებაზე მეთქი; გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა უკვე გამოჰგზავნა ხვედრი ფული სამას თუმანზე მეტი; ხოლო ლეონიდმა მოიწერა, რომ კანტორიდან აეღოთ ხვედრ ფულში—2065 მ., სამი წლის სარგებელი იმერეთის სამღვდელოებისაგან სასინოდო კანტორაში დადებულ ხელ-უხლებელ თანხისა, რომელიც ცნობილ არდაზიანის შეჭმული გამოდგა თავნიან (30,000 მ.) ნამთავნიანა მაგრამ აქ რა შუაშია ეპ. ლეონიდე, რომელსაც სხვა თავისუფალი წყარო არა ჰქონდა!? ეხლა, როგორც გავიგეთ, კანტორამ ვალდებულად სცნო თავის 2065 მ. 80 კაპ. გადასცეს სემინარიას, ხოლო ხვედრ ფულის (2955 მ.). შესაბამად საჭირო თანხას—889 მ. 20 კ.—იმერეთის სამღვდელოებას დაუჭერენ სინოდში და გამოუგზავნიან სემინარიას. მ. ჩიჯავაძეს არა სჯერა, რომ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა „ორმოც თუმანს“ გარდა (სასტიპენდიო) გამოგზავნა 2955 მანეთიც პარალელურ კლასების შესანახი (იხილე სემ. საბჭ. ჟურნალი № 50 სტ. 19, 1907 წ. სპრ. 4), ხოლო «სამოცი თუმანი“ (სასტიპენდიო) იმერეთის სამღვდელოებისაგანაც სწორედ არის აღნიშნული იმ ეპარქიის ხარჯთ-აღრიცხვაში ექსტრა-ორდინალურ თანხიდან. ცხადია, დასავლეთ საქართველოს ეპარქიები კვლავ ჩაბმულან ტფ. სემინარიის შენახვაში იმავე გზით, რა გზითაც ისინი იდგნენ. მისს კლასების თუ მოწაფეების შენახვაში მონაწილეობას 1894 წლამდე და თუ ჯერ-ჯერობით ვერ ასერხებენ მოთხოვნილებისადაგვარად სასტიპენდიო თანხის მოწოდებას, ეს იმიტომ, რომ საშუალებანი, რომელიც წინად სემინარიაში იგზავნებოდა, ეხლა, სინოდის მიერვე დამტკიცებულ ხარჯთ-აღრიცხვით, ხმარდება ადგილობრივ ეპარქიალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ჯერ-ჯერობით, სანამ ახალი საშუალებანი გამოინახებოდეს, დ. საქართველოს ეპარქიების მხრივ საკმარისი იქნებოდა მათზე მეწერილი თანხაც (5910 მან. ორთავეზე—2955 მან. თითოზე, ასი თუმანიც სასტიპენდიო 400+600), თუ რომ ეს თანხა ნამდვილ მოთხოვნილებაზე იხარჯებოდეს ტფ. სემინარიაში. მე მაქვს სახეში პირველი კლასის „სვერხშტატნი» პარალელური განყოფილება, პირველ კლასში ეხლა სამი განყოფილებაა: „ნორმალური“, „შტატნი პარალლელნი“ და „სვერხშტატნი პარალლელნი“; ამ სამ განყოფილებაში სწავლობს 111 მოწაფე, ეს რიცხვი მოწაფეებისა კი ადვილად მოთავსდებოდა ორ განყოფილებაში, 55 მოწაფე თითოში, როგორც ეს იყო დაკანონებული ქუთაისის სემინარიის გახსნამდის. ასედაც განვაცხადე სემინარიის საბჭოში და წინააღმდეგი ვიყავი «სვერხშტატნი» განყოფილების გახსნისა, რომ ამ განყოფილების შესანახი ფული ღარიბ მოწაფეებს რგებოდათ სტიპენდიებად, ეხლა კი ეს ფული მასწავლებლებს ეძლევათ მეტ-ლუკმად. ჩემი განცხადება კი დარჩა «ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა“! ხად ბრძანდებოდა მაშინ მ. ჩიჯავაძე თავის „ეკონომიურის საკითხით“?!

ზემო მოყვანილ ცნობების შემდეგ მკითხველი ადვილად დარწმუნდება მ. ჩიჯავაძის „აღმოსავლეთ საქართველოსადმი“ მზრუნველების გადამლაშებაში, დარწმუნდება, რამდენად უალაგოა გაზეთის ფურცლებზედაც («ისარი“ № 26) გამოფენილი მისი «მტკიცება»—„სემინარიის შენახვაში მონაწილეობა უნდა მიიღონ დასავლეთ საქართველოს ეპარქიებმაც და მათ ეხლა მაინც შეუმსუბუქონ აღმოსავლეთ საქართველოს ეს მძიმე ტვირთი მეთქი“! ცხადია ეს სიტყვები ზეპირად დაწერილია, საქმის ვითარებასთან შეუხამებელი, ეფექტის გამოსაწვევად მხოლოდ...

დეკ. ნ. თალაქვაძე.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ისარი“ № 43

წერილი რედაქციის მიმართ

თქვენი გაზეთის № 4 : ში ამოვიკითხე ფოთის „ტრამვაის“ ყოფილ მოსამსახურეთა ერმილე ცხადაიას და სხვების წერილი, რომლიდანაც სჩანს, რომ ხსენებულ პირთ აქვთ საქმე როგორც ფოთის ქალაქის თვითმმართველობასთან, ისე ჩემთან და გვიწვევენ სამედიატორო სასამართლოში ქალაქის თვითმართველობას და მე. ქალაქის თვითმართველობის. აზრით პასუხის გაცემა ჩემი საქმე არ არის, ხოლო ჩემის მხრით ვუცხადებ ბ-ნთ ცხადაიას და სხვებს, რომ მე სრული თანახმა ვიქნებოდი სამედიატორო სასამართლოსი და ჩემი მხრითაც დავასახელებდი მოსამართლეს, რომ იმათ წერილში იყოს აღნიშნული რაში გამოიხატება, სახელდობრ, მათი ჩემდამი დავა? ამის გამო წ ნადადებას ვაძლევ მათ გამოაშკარაონ თავიანთი დავა გაზეთის საშუალებით დაწვრილებით, რომლის შემდეგ მე მოვალე ვიქნები პასუხი გავცე. ამასთან ვთხოვ ცხადაიას და სხვებს გამოაქვეყნონ აგრეთვე გვარები იმ ექვსი მათი თანამოდავის, რომელთაც მათ არწმუნეს ჩემი გამოწვევა სამართალში და რომელთა გვარები არ არის ნაჩვენები.

ფოთის ქალაქის ცხენის რკინის გზის მოიჯარადრე **კონსტა ქოიავა.**

დეპეშა

26 თებერვალი.

ახხაბადი. ჩარჯუიში 370,000 მანეთი გაიტაცეს ხაზინიდან. მოდარაჯე მოჰკლეს, დანარჩენი ჯარისკაცები ყველანი დასჭრეს და შეკრეს. ხაზინის მოხელე, რომელზედაც ეჭვი მიიტანეს, ქალაქიდან ორი ვერსის სიშორეზე იპოვეს მოკლული.

თეირანი. შაჰის მოკვლის განზრახვის გამო ლატუსაღებულ პირთ, როგორც აღმოჩნდა, მონაწილეობა არ მიუღიათ მოკვლის განზრახვაში. დამნაშავენი ჯერ ვერ აღმოაჩინეს. შაჰმა რესკრიპტი მისწერა 23 თებერვალს მეჯლისს, მეტი ენერგია მოსთხოვა და დაემუქრა, წინააღმდეგ შემთხვევაში მე თითონ შეუდგები მაგ საქმესაო. რესკრიპტმა მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. ხელახლად გავრცელდა ხმები, დიდი ამბებია მოსალოდნელიო, რეაქციონერები ვერამინელებს აიარაღებენ, ენჯუმენები იარაღს ყიდულობენო. ვერამინში 600 ჯარის-კაცსა და ყაზახსა ჰგზავნიან არტილერიით.

ურმია. მიანდაბიდან იუწყებიან, პრინც იმამ კული მირზა, ურმიის ყოფილი გუბერნატორი, 24 თებერვალს სოუჯ-ბულახს მივიდა და დროებით მმართველობას შეუდგა.

ვენა. „კორესპონდენტ-ბიურო“-ს ატყობინებენ სტამბოლიდან, რომ ოსმალეთის პირველი დელეგატი ტახირ-ფაშა და კომისიის დანარჩენი წევრნი სპარსეთის საზღვარზე წავიდნენ ოსმალეთისა და სპარსეთის შორის მოლაპარაკების განსაახლებლად. („პ. ტ. ს.“)

რედაქტორი **ვლ. გუნია.**

გამომცემელი **ე. ავალიშვილი.**

განცხადებანი

ქალთა ტანისამოსის მოდის მაღაზია

პორტუგალოვისა

ვაჭრობის შეწყვეტის გამო გაიმართება

დიდი იაფობა

გაიყიდება რაც მაღაზიაში ქალისა და ბავშვის ზედა ტანისამოსია. მაღაზია გადავიდა განოვის ქუჩაზე. სახლი გურგენოვისა, № 8, ლევენსონის შლიაპის მაღაზიის ზემოდ, იქ სადაც მოთავსებულია ქალის ტანისამოსის მკერვალთა არტელი. (5—ხ-ლ—1)

დაიკარგა ჩემოდ-

ანი 27 თებერვალს სადგურისაკენ მგზავრობის დროს რკინის გზის გამგეობის მახლობლად.

მპოვნელთ ვთხოვთ დააბრუნოს იგი, გოლოვინის პროსპ. № 1.

ჯილდო 50 მანეთი

(2—150—1)

იყიდება სახლი

ვერაზე, ილეთის პერეულოკი, № 6, მაისურაძისა. სახლი სამ ოთახს შეიცავს თავის სამზარეულოებით. (3—153—1)

გამოვიდა და იყიდება

„ნ. გ. გამავრცელებელ საზოგადოების“ მაღაზიაში ლევ ტოლსტოის წინასიტყვაობით

„გლეხი კაცი“

ფონ-პოლენცისა, თარგმანი ივ. პოლუმორდვინოვისა.

✦ ფასი 1 მანეთი ✦

ვინც მთარგმნელისაგან გამოიწერს, გასაგზავნი ფასი არ გადახდება. ადრესი: Тифлисъ. Комитетъ по дѣламъ печати, Полумордвинову. (75—8)

პოსად აზოვში საიდუმლო პოლიციის პიერ ბოსკოვსკის მცხოვრებს მარიამ ივანეს ასულს დაწიოკლის, განჩხრეკის დროს, ჩამოართვეს შემდეგი ნივთები, რომელიც ეჭვით ნაქურდალ ნივთებად იცნეს:

1. ვარდის ფერი ჩითის იუბკა 1 ც.; 2. მოქსოვილი ნავთის ფერი პატარა სუფრა—1 ც.; 3. ნავთის ფერი „პუშკოვის“ შალი—1 ც.; 4. ფარდაგი შალისა ბორდოს ფერი—$7^1/_4$ არშ.; 5. ბარაკანის მატერიის ნაჭერი—$8^1/_4$ არშ.; 6. აბრეშუმის ცის ფერი ბალიშის გადასაფარებლები—4 ც; 7. აბრეშუმის მატერიის ნაჭერი იასამნის ფერისა—$17^1/_2$ არშ.; 8. საბავშვო ხამთრის საბანი 1 ც.; 9. გარუსით შეკერილი აბრეშუმი კრემის ფერი 1 ც.; 10. მოქსოვილი ბამბის თეთრი სუფრა—1 ც.; 11. ახალი თეთრი ქალის პერანგები—4 ც.; 12. პირის-ფერ აბრეშუმის მატერიის ნაჭერი—$9^1/_2$ არშ.; 13. თეთრი გაზის შალი—1 ც.; 14. თეთრი აბრეშუმის შალი 1 ც.; 15. თეთრი აბრეშუმის შარფი—1 ც.; 16. სპარსული შარფი—1 ც.; 17. აბრეშუმის გადასაფარებელი „პომპადური“ 1 ც.; 18. აბრეშუმის თეთრი ფოჩიანი შალი—1 ც.; 19. ქოლის აბრეშუმის ნაჭერი საპერანგე 1 ც.; 20. აბრეშუმის უჯრიანი შალი—1 ც.; 21. პირის ფერი აბრეშუმის ნაჭერი სარუბაშკე—4 არშ.; 22. შავი გაზის შარფი—1 ც.; 23. ნაცრის ფერი აბრეშუმის შალი—1 ც.; 24. ნაცრის ფერი აბრეშუმის უჯრიანი შალი—1 ც.; 25. მოქსოვილი აბრეშუმის შალი, ცისფერი—5 ც.; 26. მოქსოვილი აბრეშუმის შალი კრემის ფერი—5 ც.; 27. მოქსოვილი აბრეშუმის შალი თეთრი—3 ც.; 28. მოქსოვილი აბრეშუმის შალი პირის ფერი 5 ც.; 29. ცხვირსახოცები თეთრი აბრეშუმისა პირისფერ არშიით—2 ც.; 30. ცხვირს ხოცები ტილოსი ახლები—2 ც.; 31. სალფეტკები თეთრი—5 ც.; 32. პლუშის ქალის შალი—1 ც.; 33 შავი შალის მატერიის ორი ნაჭერი—13 არშ.; 34. თავის შარფი—1 ც.; 35 თეთრი პლუშის პირსახოცები—2 ც.; 36. ბალიშის გადასაფარებლები პლუშისა ბორდოს ფერი—3 ც.; 37. ლურჯი მაუდი აბრეშუმით ნაკერი გადასაფარებელი—1 ც.; 38. შავი მანჩესტერი აბრეშუმით ნაკერი—1 ც.; 39. თეთრი არშიანი ზეწარი—1 ც.; 40. ქალის თეთრი იუბკა—1 ც, 41. ცისფერი პიკეს საბანი—1 ც.; 42. ნიკელის სამოვარი—1 ც.; 43. თეთრი მაუდის ბავშვის ბეშმეტი—1 ც., 44. ქალის ჩითის იუბკა—1 ც; 45. წითელი ჩითის ნაჭერი 22 არშ.; 46. ქალის შავი ჩითის იუბკა ყვავილებიანი—1 ც, 47. ხავერდის პლუშის სუფრა—1 ც.; 48. ორი საფარდე ბარაკანის მატერიისა 2 ც.; 49. ნაცრის ფერი შალი—1 ც.; 50. შეკოლადის ფერი შალი—1 ც.; 51. თეთრი ქალის ნაბადი—2 ც.; 52. ნაცრის ფერი უჯრიანი შალი—1 ც.; 53. შავი ქიშმირის შალი—1 ც; 55. ბამბის ფარდები—5 ც.; 55. ხავერდის ნაჭერი—$6^1/_4$ არშ.; 56. კავკასიური ხალიჩა—5 და 4 ჩეთ. არშ.; 57. კავკასიურ შალის ხალიჩა—$2^1/_2$ და $^1/_2$ არშ.; 58. ქალის როტონდა—1 ც; 59. ნაცრის ფერი სალდათის მაუდი—$2^1/_4$ არშ.; 60. თეთრი ტილოს სუფრა ნახმარი—2 ც; 61. ასეთივე სუფრა ახალი—1 ც.; 62. ყვითელი ტყავის «რედიკიული“, ძველი ბრასლეტი და ერთი წყვილი ოქროს საყურე ბავშვისა—3 ც.; 63. თეთრი, ქალის ლანკორტის სარქე—1 ც. (3—5.—2)

მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ

საუკეთესო აბრეშუმის თესლი,

შემზადებული პასტერის სისტემით პაპადის და ანაკაკიდის ფირმისა.

წარსული წლის გამოცდილებამ ქუთაისის გუბერნიის სხვა და სხვა ადგილებში დაარწმუნა ყველა მეაბრეშუმე, რომ ზემო ხსენებული ფირმის თესლმა გადააჭარბა ყოველს მოლოდინს და მოიტანა გაცილებით უკეთესი შედეგი როგორც რაოდენობით, ისე თვისებითაც, ვიდრე განთქმულმა ქუთაისის გუბერნიაში საუკეთესო ფირმის თესლმა. ამისათვის ურჩევთ მეაბრეშუმეთ, მიაქციონ ყურადღება ამ გარემოებას და თავად დარწმუნდნენ ამ თესლის სიკეთეში.

აღნიშნული თესლი იყიდება **ბათუმში ახილეს დიმიტრიადთან** და **ქუთაისში ბ. რძენიშვილთან** ფაბრიკის ფასებში. მეაბრეშუმენი თესლს რამდენად ადრე შეიძენენ, იმდენად უკეთეს მოსავალს მიიღებენ. (15—133—5)

ქ უ თ ა ი ს შ ი

კიწმარიშვილის თესლეულობის

კანტორაში

იყიდება იონჯის, სამყურას, კონდარის, ბულის, ეკლის ხის და ყოველგვარ ბოსტნეულობის, ყვავილების და სხვა თესლეულობა; აგრეთვე საუკეთესო ჯიშის ნამყენი ხეხილების და კბილებიან ეკლის ხის ნერგები.

პრეისკურანტები ყველას უფასოდ. (10—ფ.—6)